№ 260 19 დეკემბერი, სამშაბათი 1866—1878 19 დეკემბერი, სამშაბათი № 260

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., 6 ხუთ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ... ხაზზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ეტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

„დროების“ რედაქცია გადავიდა გალის (სადილვის) ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 15 დეკემბერს. „მართებლობის მოამბე“ გვაცნობებს, რომ Iაროსლავის ღუბერნატორი მმიტი დანიშნულია მისის დიდებულების ხელმწიფის საკუთარი კანცელარიის მესამე განყოფილების გამგებელად.

ლონდონი, 15 დეკემბერს. გაზეთის „ტაიმსის“ სიტყვით, ავღანის ემირის შვილი Iაკუბ-ხანი ჯალალაბადს მოსულა; ამ ამბავს მოჩჩილებად სთვლიან.

პეტერბურღი, გაზეთი „გოლოსი“ გვაცნობებს რომ 15 დეკემბერს ნიჟნი-ლომოვში მოუყვანიათ პენზის ვაჭარი ჩეთვერიკოვი, მატყლის სოვდაგარი, რომელსაც ბრალია ედება ყალბი ვექსილების გაკეთება.

პეტერბურღი. ზამთრის დარი სრულებით დადგა.

სტამბოლი, 15 12 დეკემბერს. გაზეთ „Нов. Время“ სიტყვით ლეიარდს მოლაპარაკება აქვს ოსმალოს მმართებლობასთან, რომ კუნძული კიპრი Iნგლისს დაეთმოს; ფულად გადასახადს 15,000 გირვანქა სტერლინგს ჰპირდება; ოსმალეთი ითხოვს 55,000 გირვანქა სტერლინგს.

*) დაგვიანდა ტელეგრაფის მავთულის წახდენისა გამო პეტერბურღსა და როსტოვს შუა.

პეტერბურღის ბირჟა, 17 დეკემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის — —	96—67
მეორე— — — — — — —	94—50
მესამესი — — — —	94—50
მეოთხესი — — — —	94—75
აღმოსავლეთის პირ. —	92—75
აღმოსავლეთის მეორე—	91—50
ოქრო, ½ იმპერიალი —	8—87
თფილ. თავად-აზნ. ბანკის	
გირაოს ფურცელი— —	„— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან. კაპ.
პირველი სესხის — —	239— „
მეორე სესხის — — —	238— „

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	22—97	პენსი
ამსტერდამი— —	116—50	ცენტი
ბერლინი— — —	196—12	პფენიგი
პარიჟი — — —	241—50	სანტიმი
კავკასიის კერასინი—	„— „ —	

საქართველო

მესამე ხარისხის ხმოვანთა ამორჩევა

დღეს, 18 დეკემბერს, ორშაბათს დილის 10 საათიდამ დაიწყო კლუბის ზალაში მესამე რაზრიადის ამომრჩეველთა კენჭის-ყრა.

სულ ამ კენჭის-ყრაზე დაესწრო 103 ამომრჩეველი.

პირველის კენჭის-ჩამოტარებით ხმის უმრავლესობა მოუვიდა მხოლოთ 7 კაცს:

1. ს. პ. შაჰდინაროვს — — 73
2. არ. I. ვართანოვს — — 60
3. ნ. I. ნიკოლაძეს — — — 60
4. I. I. ხოსროევს — — — 57
5. გ. ნ. სუნდუკიანცს — — 56
6. I. ელიმირზოვს — —56 და
7. არ. I. Iონესიანს — — 46.

მეორე კენჭის-ყრაზე დაესწრო სულ 62 კაცი. ამათში ამორჩეულ იქმნენ შემდეგი 17 კაცი, რომელთაც მოუვიდათ 62 ხმაში თეთრი კენჭი:

8. ს. ს. მესხი — — — — 34
9. ა. ზ. ჩოლაყაშვილი— — 30
10. I. ს. აქიმოვი— — — — 30
11. ა. ლ. თაიროვი — — — 30
12. I. ტერ-ოსეფიანცი— — — 30
13. გრ. I. შანშიევი — — — 30
14. პ. ნ. ბაბანასოვი — — — 29
15. მ. პ. ბებუთოვი — — — 28
16. გ. ს. ხატისოვი — — — 28
17. ნ. ნ. შანშიევი — — — 27
18. ა. ს. კაპანაძე — — — 27
19. გ. მ. ყორღანოვი — — 27
20. სტ. გ. ზარაფოვი — — 27
21. სტ. ს. სარქისოვი — — 26
22. I. გ. ფონდოევი — — — 26
23. ზ. გ. ტერ-ასატუროვი — 26
24. I. წინამძღვარიოვი — — 26

თ. დავით გრუზინსკის ჰაზრი აზიურ საზოგადოებაზედ

წარსულ ნომერში მოვიხსენიეთ ჩვენ აზიურ საზოგადოების რუსეთში დაარსების შესახებ თ. დ. გრუზინსკის წერილი, რომელიც ერთს მოსკოვის გაზეთში არის დაბეჭდილი.

მოგვყავს ქვემოთ ეს წერილი; მაგრამ, მკითხველს ვსთხოვთ, რომ ამ საგნისავე შესახებ ჩვენც ორიოდე სიტყვის თქმის ნება მოგვცეს.

რუსულ გაზეთებში ჰსურთ ისეთი საზოგადოების შედგენა, რომელიც უნდა შეუდგეს ყოველის მხრით გამოკვლევას, გაცნობასა და შესწავლას ყველა იმ ქვეყნებისას, რომელიც კი რუსეთს აზიაში ეკუთვნის. ერთნაირის ინტერესით შეისწავლის ეს რუსის საზოგადოება როგორც ციმბირს, აგრეთვე თურქისტანს, ბუხარას, ძოკანს, ყარსის, და ბათუმის სამხედრო მაზრებს და სხვ.

მიზანი ამ გვარის საზოგადოებისა არის, რასაკვირველია, ის, რომ მთავრობას დაეხმაროს ამ ზემოხსენებულ ქვეყნების გაცნობაში და შეთვისებისა: რუსეთი მხოლოთ მაშინ შეიძლებს ამ უცხო ხალხების კარგად გამგეობას, სამუდამოთ შეთვისებას და დაპყრობას, როდესაც იმათ ხასიათსა, ენას, ჩვეულებას, ცხოვრებას, ბუნებას და სხვას ყველაფერს დაღაგებით გაიცნობს და ამისშესაფერ წესებსა და მთავრობას დააწესებს იქ. ეს ხომ ყველასთვის ცხადია ახლა, რომ მარტო ძალადობითა და ხმლით დაპყრობილი ხალხი თავის დღეში არ იქნება მორჩილი და მინდობილი; ამასთანავე საჭიროა, რომ სხვა, უფრო მკვიდრი, უფრო სულიერი და ზნეობითი ერთობა იყოს ორ ხალხს შუა; მხოლოთ მაშინ შეუძლიან ორ ხალხს საზოგადო ისტორიულის ცხოვრებით ცხოვრება, მოთავსება და წარმატების გზაზედ სვლა.

აი ეს ჭეშმარიტება ესმისთ რუსებს

და იმიტომაც ცდილობენ ზემოხსენებულ აზიურ საზოგადოების დაარსებას.

საუბედუროთ, ჩვენში ცოტაა იმისთანა ხალხი, რომელთაც ეს ჭეშმარიტება კარგათ გაეგებოდესთ. ან იქნება იყვნენ, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაშიაც გვძლევს ჩვენი ჩვეულებრივი პატია, ტვინ-გაუნ-ძრეველობა და დაუდეველობა.

თუ ამით ჩვენ ვერ გაგვიგია ის გარემოება, რომ დღემდინ ჩვენში ჯერ კაცს ხმა არ ამოუღია ამაზედ, რომ ბათუმის მაზრის შესასწავლებლად ჩვენც გვეჭირება ამისთანა საზოგადოების დაარსება.

მართლა. მთელს ბათუმის სამხედრო მაზრაში ძველი, ნამდვილი ქართველები ცხოვრებენ. მართალია, სამი საუკუნის განმავლობაში იმათში ბევრი არაფერი ცვლილება მომხდარა, თითქის ყველაფერით: ენით, ხასიათით, ჩვეულებით და სხვით ისეთივე ქართველები დარჩენილან, როგორებიც იყვნენ იმ დღეს, რა დღესაც ესენი შავ-ბედმა და მტრის მძლავრობამ მოგვაშორა ჩვენ.

მაგრამ მეორეს მხრით უეჭველია, რომ სამის საუკუნის განშორება უნაყოფოდ არ ჩაივლიდა; ამ ხნის განმავლობაში, ცოტათ თუ ბევრად, ჩვენც შევიცვალეთ და ისინიც; ჩვენ ერთის ისტორიულის ცხოვრებით ვცხოვრობდით, ისინი მეორეთი; ჩვენ სხვა გვრემოება გვერტყა გარს, იმათ სხვა; ერთიც და მეორესაც განსხვავებული დღი გვასვია ახლა.

და რა ღონის-ძიებას ვხმარობთ ახლა, რა საშუალებას მივმართეთ, რომ ეს განსხვავებული დღი მოვიხოცოთ და ჩვენს შორის ერთობა, სრული ერთობა, ნაციონალური შეერთება და ძმობა ჩამოვაგდოთ, განვაახ ოთ.

ჯერ-ჯერობით არავითარი. ჯერ-ჯერობით ჩვენი მოქმედება ამ შემთხვევაში მხოლოთ იმით აღმოჩნდა, რომ ბათუმის დეპუტაციას სადილი გაუმართეთ! რასაკვირველია, ესეც კარგი იყო, ამასაც მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ისეთი მცირედი, ისეთი შეუმჩნეველი, რომ ამაზედ ლაპარაკიც კი არა ღირს.

სხვა გვარ მოქმედებას, სხვანაირ შეერთების სურვილის გამოცხადებასა და სხვა გვარ ძმობის გახსენებას მოველით ჩვენ ჩვენის საზოგადოებისაგან.

ორიოდე სიტყვით გამოვსთქვამთ ჩვენ ჭაზრსა და სურვილს:

ძალიან კარგი იქნება და ძალიანაც საჭიროა, რომ ჩვენ, საკუთრივ ჩვენ შეეადგინოთ საზოგადოება, რომელმანც ითავის ყოველ მხრით გაცნობა, დაახლოება, ძველი კავშირისა და ერთობის განახლება ორი მოძმე ხალხისა: კავკასიის და ბათუმის მაზრის ქართველებისა.

სიამოვნებით აღვნიშნავთ ჩვენს მატიანეში იმ დღეს, რა დღესაც ამ გვარ საზოგადოების დაარსებას შეეიტყობთ.

მოვიყვან ახლა თ. დავით ბრუზინსკის წერილს, რომელიც ამავე საგანს შეეხება და ზემო გამოთქმულს ჭაზრებსვე ამტკიცებს:

„მ. ხ. შუალი რედაქტორო! არ შეიძლება არ მივესალამოთ იმ ამბავს, რომელიც თქვენი გაზეთის მე 265 ნომერში მოიყვანეთ თქვენ და რომლის თაობაზედაც ასეთი თანაგრძნობითი მოწონავე სტატია დაბეჭდეთ იმავე ნომერში.

„დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი კაცი, ვინც მშვიდობიანობისა და ჭეშმარიტების პატივის-მცემელია და აგრეთვე ჩვენი მწერლები და ჟურნალ-გაზეთები სრულს და უგულითადესს თანაგრძნობას გამოაცხადებენ საქართველოს ახალი ეპეზარხოსის ყოველად-უსამღვდელოების იოანნიკის განკარგულებაზედ, რომ საქართველოს ყველა ეკკლესიებში აღდგენილი იყოს წირვა-ლოცვა ქართულ ენაზედ.

„ქრისტეს დაბადების შემდეგ მეოთხე საუკუნიდამ საქართველო განთლებულია ქრისტეს სარწმუნოების სხივით ანდრია მოციქულისა და ნინო განმანათლებელისაგან; და თუმცა ამ ქვეყანას მუდამ თავს-ესხმოდნენ უანგარიშო მტერნი, თუმცა იმის სატახტო ქალაქი თფილისი 22-ჯერ იყო არაბებისა, სპარსებისა, თათრებისა და სხვა ურწმუნო ხალხისაგან აოხრებული, მაგრამ წვალებულმა და დატანჯულმა საქართველომ მე-IV საუკუნიდამ დღემდინ მაინც წმინდათ დაიცვა თავის სარწმუნოება; და ეს საქართველო თითქმის ოცის წლის განმავლობაში მოკლებული იყო თავის საკუთარს ენაზე წირვა-ლოცვას *)

„არ ვიცი აგრეთვე რას მიეწერება ის გარემოება, რომ ყველა ძველებურ საქართველოს მონასტრებში, მაგალითად მცხეთის, ბელათის, სიონის და სხვ. წახოცილი და წაშლილი იყო ძველი ქართული მხატვრობა, რომელზედაც გამოხატული იყო საქართველოს საეკკლესიო და საერო ისტორიის სურათები! ყველა ეს მხატვრობა, როგორც მაშინ ამბობდნენ, „ეკკლესიის მომეტებულ დასამშვენიერებლად“ იყო კირით გალესილი ამ 30 წლის წინ ეპეზარხოსის შეგენის ხელში იმპერატორის ნიკოლოზ პაველეს ძის კავკასიაში მისვლის დროს ავბობენ, ვითომც როცა ეს გარემოება შეიტყო იმპერატორმა, ძალიან იწყინა და ბრძანება გამოსცა, რომ იმწამსვე გადაეწმინდათ ხელ-ახლად ხსენებული მხატვრობა.

„ქართული წირვა-ლოცვის აღდგენით ერთი-ორად გაუადვილდება თავის საქმე კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებას, რადგან კავკასიის ყველა სხვა ტომის ხალხებს ძალიან კარგათ ესმისთ ქართული ენა.

„შესანიშნავია, რომ სომხური ენა ეკკლესიებში და არც სხვაგან არასოდეს არ ყოფილა ისე შეეიწროებული, როგორც ქართული. იქნება ქართული წირვა-ლოცვის ნებაც იმიტომ მისცეს ახლა, რომ სომხურსაცა ექნეს ამისთანა თავისუფლება მთელს რუსეთში!

„შემდეგ თქვენ ეხებით საზოგადოთ აღმოსავლეთის ხალხებს.

„უეჭველია, რომ მიზანი ყველა მმართებლობისა, რომელიც ახალ ხალხს შეიძენს ის არის, რომ ახალი მთავრობის ხელში ის ხალხი უკეთ ცხოვრებდეს, მომეტებული წარმატება და კეთილ-დღეობა მიეცეს.

„ყველა დამეთანხმება იმაზედ, რომ ამ მიზანს მთავრობა მხოლოთ ორის გზით მიაღწევს: საჭიროა ერთის მხრით იმ ახლად-შეძენილი ხალხის ენისა, ხასიათისა, ჩვეულებისა, ბუნების სიმდიდრისა და სხვ. გაცნობა და მეორეს მხრით ადგილობრივმა ჩინოვნიკებმა კარგათ უნდა იცოდნენ ამ ხალხის ენა და ხასიათი, ურომლოთაც იმათ, რასაკვირველია, არ შეუძლიანთ თავიანთ მოვალეობის შესრულება.

„ამის გამო მე ძალიან თანაუგრძნობ აზიურ საზოგადოების დაარსებას მოსკოვში და აგრეთვე აღმოსავლეთ ენების შესწავლას რუსებისაგან.

„ეხი წელიწადია მას აქეთ, რაც აღძრეს პირველად აზიურ საზოგადოების დაარსებაზედ ლაპარაკი; მაგრამ დღემდინ სისრულეში არ მოყვანილა. რა აბრკოლებს ამ საგანს? სად არიან ის პირნი, რომელთაც იმ თავით ასე მხურვალეთ მოჰკიდეს ამას ხელი? იქნება ძველები განქრნენ და მაგიერად ახლა ბეჭდვის საშუალებით ეძებენ ახალ მშრომელთა, ახალ თანამგრძნობთა, რომელთაც უნდა იზრუნონ რუსეთის სადიდებელად და აღმოსავლეთ ხალხების სასარგებლოდ და კეთილდღეობისათვის!“

თავადი დავით ბრუზინსკი

მოსკოვი, 5 ოქტომბერს, 1878 წ.

*) პატივცემულის ავტორის ჭაზრი. ვითომც საქართველო აქამომდე მოკლებული იყო თავის ენაზე წირვა ლოცვას ჭეშმარიტების წინააღმდეგი ჭაზრია.

რედ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲤᲐᲡᲘ 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ე.ქ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. ბორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲕᲐ

ვისაც ჭსურს თავიანთ **ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ** ჭყავდეს **ᲛᲣᲖᲘᲙᲐ** იაფ ფასად, შეუძლია მმართოს **ᲩᲔᲮᲚᲐᲕᲘᲐᲜᲣᲠ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ** დირექტორს უფ. მატუშეკს, რომელიც ცხოვრობს მუხრანსკის ქუჩაზედ, სახლის **№ 27.**